Electricity System Commercial Operator JSC
Digitally signed by Electricity System Commercial Operator JSC
DN: cn=Electricity System Commercial Operator JSC, 2.5.4.97=NTRGE-205170036, o=Electricity System Commercial Operator JSC, c=GE
Date: 2019.10.15 11:02:24 +04'00'

19/10/15-01

ხელშეკრულება

ქ. თბილისი 15 ოქტომბერი, 2019 წელი

ერთის მხრივ **სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ზაზა დვალიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ **შპს „ISSP Georgia“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია გოგუაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1.2. პუნქტში აღნიშნული შესყიდვის ობიექტი.
1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **56 ცალი** ანტივირუსული პაკეტის McAfee Endpoint Threat Protection ერთწლიანი ლიცენზია **(ანტივირუსის პროგრამული პაკეტები - CPV 48761000).**

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეადგენს **2 595.60 ₾ (ორიათასხუთასოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 60 თეთრი)** დღგ-ს გათვალისწინებით (დღგ გარეშე - 2199.66 ლარს). ერთი ერთეულის ფასია 46.35 ლარი დღგ ჩათვლით (დღგ გარეშე - 39.28 ლარი).
2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კუთვნილი გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიეტის ხარისხი და გარანტია

3.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი იქნება მაღალი დონის.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საერთო ვადა განისაზღვრება 2019 წლის 15 ოქტომბრიდან 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს მისი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ჯაფარიძე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2. "მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.3.1. განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდება;

7.3.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, მთლიანად ან ნაწილობრივ, ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში ერთი მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტამდე ერთი კვირით ადრე.

8.5. ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.6. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 15 ოქტომბრიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას, მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის" მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს" წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“	„მიმწოდებელი“ შპს „ISSP Georgia“
ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ. № 2 ტელ: 240-14-20 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა /ა GE75TB7505935030100001 საიდენტიფიკაციო კოდი **205170036**	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 33ბ იურ.მის.: თბილისი, ვაჟაფშაველას გამზირი, III კვარტალი, №79, კორპუსი 15, ბინა 159 სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა /ა GE81TB7018536020100010 საიდენტიფიკაციო კოდი **404955839**
გენერალური დირექტორი ზაზა დვალიშვილი	დირექტორი მაია გოგუაძე